გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №242

2022 წლის 09 დეკემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №232 განკარგულებით დამტკიცდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა შემდეგი სახით: თავმჯდომარე მანუჩარ ლაფაჩი, კომისიის წევრები კობა ბერიანიძე, ლიანა ოქროპირიძე, გიორგი გოგშელიძე, ჯაბა იმერლიშვილი, იოსებ მუმლაძე, ბორის გოგიჩაიშვილი, თამარ მურალოვა, მერაბ გოხელაშვილი, მაია ბოლაშვილი, კახა ლობჟანიძე, მიხეილ ვახტანგაშვილი, ნანა ლოთიშვილი, გივი გინტური (სულ 14 (თოთხმეტი) წევრი).

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია აქტიურად მუშაობს და ასრულებს მისთვის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

განხორციელებული ქმედებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა კომისიის 13 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე კომისიის მიერ სულ განხილულ იქნა 72 საკითხი აქედან კომისიის მიერ 56 საკითხის თაობაზე მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა, 7 საკითხის თაობაზე მიღებულ იქნა უარყოფითი დასკვანა, 4 საკითხი მიჩნეულ იქნა არასაკმარისად მომაზადებულად, 4 საკითხი კომისიამ წარმოადგინა კვარტალური სამუშაო გეგმის სახით, 1 საკითხი მოსმენილ იქნა ინფორმაციის სახით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდაბასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში კომისიიის მიერ განხილულ იქნა 4 ინიციატივა და მოეწყო მოსახლეობასთან კონსულტაციები: 2021 წლის 28 დეკემბერს სოფელ შერთულში ქუჩისა და სკვერისთვის გოგიტა მაკრახიძის სახელის მინიჭების თაობაზე, რომლის შესახებ სამთავრობო კომისიის თანხმობით 2022 წლის 11 მარტს საკრებულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით სოფელ შერთულში უსახელო ქუჩას და სკვერს მიენიჭა გოგიტა მაკრახიძის სახელი, 2022 წლის 20 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის სადგური-ელექტროფიკაციის დასახლების ადმინისტრაციულ ერთეულში თენგიზ ბურჯანაძის სახელის მინიჭების თაობაზე, რომლის შესახებ სამთავრობო კომისიის თანხმობით მიმდინარე წლის 11 ნოემბერს საკრებულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გორის მუნიციპალიტეტის სადგური-ელექტროფიკაციის დასახლების ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩას მიენიჭა თენგიზ ბურჯანაძის სახელი, 2022 წლის 23 აგვისტოს კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩისთვის „თავისუფლების" სახელის მინიჭების თაობაზე, რომლებიც დასტურდება შესაბამისი აქტებით, ამასთან სოფელ ხელთუბანში უსახელო ქუჩისათვის ჯეირან კიკრიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის თაობაზე მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

კომისიის საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა პროექტები გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში (აძვი, ახალუბანი, ციცაგიანთკარი, ჯარიაშენი, ქიწნისი, ქვემო არცევი, ქვეში, სათემო, ტინისხიდი, სვენეთი, რეხა, ხელთუბანი და თორტიზა) არსებული უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ, რომლებიც განხილულ იქნა საკრებულოს სხდომაზე და მიღებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტები. კომისია დებდა დასაბუთებულ დასკვნებს, განსაზღვრავდა მიზანშეწონილობას კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია ყოველ კვარტალურად ადგენდა სამუშაო გეგმას და მის შესაბამისად ისმენდა წარმოდგენილ ანგარიშებს. კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ისმენს შესაბამისი თანამდებობის პირების განმარტებებსა და მოსაზრებებს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით აქტიურად განაგრძობს მასზედ დაკისრებული უფლება მოვალეობების განხორციელებას.